

2013 წლის პრიორიტეტი:

1. ადამიანის უფლებებისა და სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერის პროგრამა;

- განსაკუთრებული საჭიროების მქონე ჯგუფების ხელშეწყობა

(იძულებით გადაადგილებული პირები, მზრუნველობამოკლებული და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირები)

- მაღალმთიან და კომპაქტურად დასახლებულ რეგიონებში ახალგაზრდული აქტივობების წახალისება
- ახალგაზრდული მედიის განვითარება

(ახალგაზრდული პრობლემების გაშუქება, უახლესი მედია ვებ-ტექნოლოგიებისა და სოციალური ქსელების დანერგვა და მათი საშუალებით ახალგაზრდობის გააქტიურება);

- ეთნიკური უმცირესობების სამოქალაქო ინტეგრაციის ხელშეწყობა; (მულტიკულტურული დიალოგი, ბილინგვური სწავლების ხელშეწყობა და ქართული ენის პოპულარიზაცია)
- საჯარო სკოლების თვითმმართველობების განვითარების პოპულარიზაცია
- ბავშვთა უფლებრივი მდგომარეობის გაუმჯობესება

2. გარემოს დაცვის, ეკოლოგიისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის პროგრამა;

- არაფორმალური განათლების დანერგვა, ეკოლოგიური უნარ-ჩვევების ამაღლება, პრაქტიკული ღონისძიებების საშუალებით მდგრადი განვითარების ხელშეწყობა, ეკოტურიზმის ხელშეწყობა
- ცხოვრების ჯანსაღი წესის პოპულარიზაცია
- სპორტული ღონისძიებების, აქტივობების წახალისება

3. კულტურულ-საგანმანათლებლო და აკადემიური მხარდაჭერის პროგრამა (უპირატესობა მიენიჭოს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებებს)

- კულტურულ - საგანმანათლებლო ღონისძიებების უზრუნველყოფა
- ახალგაზრდა მეცნიერთა და შემოქმედთა გამოვლენა, მხარდაჭერა და წახალისება
- სამეცნიერო კონფერენციების, ფორუმების ორგანიზება

4. საერთაშორისო ურთიერთობების მხარდაჭერის პროგრამა;

➤ საერთაშორისო თანამშრომლობის განვითარება

(ევროკავშირის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნები, სამხრეთ კავკასია, ევროატლანტიკური ალიანსი);

5. სოციალური მეწარმეობა.

2013 წლის პირველი საგრანტო				
N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ახალგაზრდა ხელოვანთა ასოციაცია (სახა)“	„ეგო-არტი“	<p>პროექტის მიზანია საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ნიჭიერი ახალგაზრდების გამოვლენა, ამა თუ იმ რეგიონის წინ წამოწევა კულტურული თვალსაზრისით.</p> <p>ფეისბუქის და ბლოგის საშუალებით, ასევე რეგიონების რესურს ცენტრების დახმარებით მოხდა პოეზიის, პროზისა და ფოტოკონკურსის შესახებ ინფორმაციის გავრცელება. მითითებულ ინტერნეტ მისამართზე და ელ ფოსტაზე 16-დან 26 წლამდე ახალგაზრდამ გამოაგზავნა ერთი საკონკურსო ნაწარმოები (გამოუქვეყნებელი ნებისმიერ ინტერნეტ სივრცეში, ჟურნალ-გაზეთსა თუ კრებულში). ჟურის მიერ თითო რეგიონიდან შირჩა ერთო გამარჯვებული.</p>	12709 ლარი
2	ა.(ა).ი.პ. - „სტუდენტური საერთაშორისო ინიციატივა“	„ახალგაზრდები მდგრადი აგრარული და გარემოსდაცვითი განვითარებისთვის“	<p>1. ხელი შეუწყოს აგრარულ სექტორში მეხილეობის სფეროს მდგრად განვითარებას მრავალწლიანი კულტურების მოვლისა და განვითარების თანამედროვე, პროგრესული ფორმების დამკვიდრების, მწირი მიწიანი ბაღების ოპტიმალურად დატვირთვისა და პოპულარიზაციის მეშვეობით, აღნიშნულ პროცესში ახალგაზრდობის როლის ზრდისა და წახალისების ფონზე; 2. ხელი შეუწყოს ადგილობრივ დონეზე გარემოს დაცვის, ეკოლოგიური უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ჯანსაღი</p>	67620 ლარი

			პრაქტიკის დამკვიდრებას ახალგაზრდებს შორის შესაბამისი ცოდნისა და უნარების განვითარების მეშვეობით; 3. წახალისოს სოფლად მცხოვრები ახალგაზრდების ადგილზე დამაგრების პრაქტიკა, ადგილზე მდგრადი განვითარების პერსპექტივის გაჩენისა და ახალგაზრდებს შორის შესაბამისი ცოდნისა და უნარების გაფართოების ხარჯზე.	
3	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული კლუბი განედი 42“	„კვლევა შარეულას ხეობისათვის ბუნების ძეგლის სტატუსის მისანიჭებლად“	პროექტის მიზანია, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სხვადასხვა ფაკულტეტებისა და მიმართულების მეცნიერების, პედაგოგებისა და სტუდენტების ჩართულობით ჩატარდეს გარკვეული სამეცნიერო კვლევები, რომელთა საფუძველზე მომზადდება დოკუმენტაცია-დასაბუთება შარეულას ხეობის ბუნების ძეგლის სტატუსის მინიჭების შესახებ, შესაბამის სახელმწიფო ორგანიზაციებში წარსადგენად.	6174 ლარი
4	ა.(ა).ი.პ. - „ჯანსაღი თაობა“	„მესხეთის საფეხბურთო ფესტივალი 2013“	<ul style="list-style-type: none"> * ჯანსაღი ცხოვრების წესის სტიმულირება რეგიონების ახალგაზრდებში; * აქტიურ სამოქალაქო ცხოვრებაში ჩართვა; * სხვადასხვა რეგიონების ახალგაზრდების გაცნობა, დამეგობრება; * ეთნიკური უმცირესობების ინტეგრაცია; * რეგიონის პოპულარიზაცია; * საერთო სამოქალაქო კულტურის ამაღლება; * სამხრეთ კავკასიის (თურქეთი, სომხეთი) ახალგაზრდებთან დამეგობრება; * მათთან კულტურის გაცვლა, ურთიერთობის გაღრმავება; * ფეხბურთის განვითარება; * ახალგაზრდების გამოცოცხლება, გართობა; 	16193-00 ლარი

5	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული გაერთიანება მარტვილი“	„მარტვილის ჯანსაღი ცხოვრება“	პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს მარტვილის რაიონში სპორტის სხვადასხვა სახეობის განვითარებას და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციას. პროექტით გათვალისწინებული იყო სხვადასხვა ტიპის საფეხბურთო ღონისძიებების ჩატარება და ახალგაზრდების აქტიური ჩართვა სპორტში.	11787 ლარი და 50 თეთრი
6	ა.(ა).ი.პ. „საქართველოს ახალგაზრდული მოძრაობა ადამიანის უფლებებისათვის“	„აღმოსავლეთ ევროპის საზაფხულო სკოლა“ Eastern European Summer School (EESS)	<p>პროექტის მიზანია ხელი შეუწყოს ევროინტეგრაციულ პროცესს რეგიონის მნიშვნელობისა და პრობლემების სწავლისა და ახალგაზრდული კვლევების წარმოების შუალეობით.</p> <p>ღნიშნულ პროექტში ჩართული იყო 20 ახალგაზრდა შავი ზღვის რეგიონისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან. შერჩევის მთავარი კრიტერიუმს წარმოადგენდა მათი პროფესიული კავშირი რეგიონის როგორც ერთიანი მთელის ან მისი შემადგენელი რომელიმე ქვეყნის პოლიტიკურ, სოციალურ თუ ეკონომიკურ ცხოვრებასთან. მნიშვნელოვანი კრიტერიუმი იყო ასევე, ამ ახალგაზრდების სამსახურებრივი გამოცდილება სახელმწიფო უწყებებსა ან კვლევით დაწესებულებებში. ახალგაზრდებს ჩაუტარდათ წინასწარ ერჩეული თემატიკის გარშემო ლექციები, სემინარები და დებატები. ლექციებში ჩართულნი იყვნენ ევროპის წამყვანი უნივერსიტეტებიდან მოწვეული 2 უცხოელი პროფესორი, ხოლო ქართველი ექსპერტების მოწვევა მოხდა კონკრეტულ სალექციო თემასთან შესაბამისობაში.</p>	26369 ლარი და 20 თეთრი.
7	ა.(ა).ი.პ. - „მარაზდის ახალგაზრდული ასოციაცია“	„ახალი მარაზდა“	<i>პროექტის ძირითადი მიზანია მარაზდისა და მიმდებარე სოფლების ახალგაზრდების დასაქმება, არაფორმალური განათლების მიღება, სამოქალაქო აქტივობის ხელშეწყობა და პრაქტიკული სამუშაოს ჩატარებით, ახალგაზრდების ჩართულობით სოფლისთვის მნიშვნელოვანი ეკოლოგიური</i>	9140 ლარი

			<i>პრობლემების მოგვარება.</i>	
8	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ორგანიზაცია შავფაროსნები“	„ქართული საბრძოლო ხელოვნების ფესტივალი“	პროექტი მიზანია ახალგაზრდების დაინტერესება და ჩართვა ქართული საბრძოლო ხელოვნების შენარჩუნების და განვითარების საქმეში და ეროვნულ ღირებულებებზე დაფუძნებული ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა.	18275-00 ლარი
9	ა.(ა).ი.პ. - „ჯანდაცვისა და სოციალური განვითარების ახალგაზრდული ორგანიზაცია“	„ევროპის მედიკოს სტუდენტთა ასოციაციის 2013 წლის ნაციონალური კოორდინატორებისა და ენთუზიასტების ყოველწლიური შეხვედრა“	პროექტის მიზანია ევროპის ქვეყნების და მეზობელი ქვეყნების სტუდენტების, სტუდენტური და ახალგაზრდული ორგანიზაციების ხელმძღვანელების ჩამოყვანა საქართველოში, ქართველ სტუდენტებთან და კოლეგებთან დასახლოებლად შესაბამის გარემოს შექმნა, საინფორმაციო ვაკუუმის აღმოფხვრა და ნიადაგის მომზადება სამომავლო თანამშრომლობისთვის. სამეცნიერო პროგრამის ორგანიზებით საინტერესო სამედიცინო სიახლეების პრეზენტაცია და ინფორმაციის ურთიერთგაცვლის უზრუნველყოფა მონაწილეთა შორის. სოციალური პროგრამების ორგანიზებით საქართველოს გაცნობა მონაწილე უცხოელი სტუმრებისათვის.	11900 ლარი
10	ა.(ა).ი.პ - „გრაფიკული სტუდია“	„კომიქსები საქართველოში“	პროექტის მიზანია შეიქმნას ტექნიკური ბაზა, რომელიც მოხმარდება ნიჭიერი მხატვრების სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კვალიფიკაციის ამაღლებას კომპიუტერული გრაფიკის სფეროში. პროექტის განმხორციელებელი ორგანიზაციის ოფისში მათ საშუალება ჰქონდათ ემუშავათ უმაღლესი ხარისხის ტექნიკასთან და მიიღეს ფასდაუდებელი გამოცდილება. იმუშავეს ქართული პოეზიისა და	19297 ლარი

			<p>პროზის შედეგებზე დაფუძნებული გარფიკული ნოველების შექმნაზე. ეს ნოველები დააკმაყოფილებენ ამ სფეროს მეტრების „MARVEL-ისა“ და „DC-ის“ მიერ დამკვიდრებულ გრაფიკულ სტანდარტს. ამ პროდუქტის მეშვეობით შესაძლებელი გახდება, როგორც მოსახლეობისთვის კომიქსების გაცნობას, ასევე მთელი მსოფლიოს მასშტაბით ქართული კულტურის გავრცელებას და პოპულარიზაციას, როგორც თანამედროვე სახვითი ხელოვნების ყველაზე პოპულარული დარგი, კომიქსები ამისი შესანიშნავი საშუალებაა. მოხდა ნიჭიერ გრაფიკოსთა და დიზაინერთა ჯგუფების შეკრება. ჯგუფები დაიყო ქვეჯგუფებად ცალკეულ პროექტებზე პარალელურად სამუშაოდ. ყველა პროექტზე მუშაობისას გადანაწილდა საქმე, ერთი - ავტორი ნახატის კონტურზე მუშაობდა, მეორე - ფერთა და სინათლის განაწილებაზე იყო პასუხისმგებელი, ხოლო მესამე - დეტალიზაციასა და ეფექტებზე.</p>	
11	ა.(ა).ი.პ. - „სოციალურ კულტურული განვითარების ცენტრი Social and Cultural Development Center“	„უსახლკარო ბავშვები პრობლემები/გამოწვევები“	<p>პროექტის მიზანია, მოახდინოს საზოგადოებრივი აზრის ჩამოყალიბება მიუსაფარ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვთა სოციალურ მდგომარეობასთან დაკავშირებით და გამოავლინოს მათი ის ცხოვრებისეული გამოწვევები და საფრთხეები რომელთა გადაწყვეტა მათდა სასიკეთოდ უნდა იქცეს საზოგადოების ფართო მასების დაინტერესების და ამ პროცესში მათი ჩართულობის საგნად.</p> <p>პროექტის ფარგლებში მომზადდა რადიოგადაცემათა ციკლი ზემოთაღნიშნულ პრობლემების გამოსავლენად. რადიოგადაცემა</p>	9730 ლარი

			სახელწოდებით „თანაგრძნობა“ რადიო „უცნობის“ ეთერში ორი თვის მანძილზე გადიოდა, კვირაში 2-ჯერ. თითო გადაცემის ხანგრძლივობა 15 წუთი. რადიო „უცნობი“ წარმოადგენს ერთ-ერთ რეიტინგულ რადიოსიხშირეს, როგორც ახალგაზრდებისთვის და ასევე იმ ადამიანებისთვის ვინც ზრუნავს ან შეიძლება მომავალში იზრუნოს მიუსაფარ და მზრუნველობა მოკლებულ ბავშვებზე.	
12	ა.(ა).ი.პ. - „საზოგადოებრივი ინიციატივათა ჯგუფი“	„აჭარის მაღალმთიანი რეგიონში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა“	პროექტის მიზანი - აჭარის მაღალმთიანი რაიონების სკოლის დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო ცნობიერების გაზრდა. ხულოსა და შუახევის რაიონებში მცხოვრები ახალგაზრდების სამოქალაქო განვითარების ხელშეწყობა, ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერების ჩამოყალიბების მიზნით, რაც დაეხმარება ოჯახის, საზოგადოებისა და სახელმწიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში, მათ რეალიზებაში.	18060 ლარი
13	ა.(ა).ი.პ. - „Unity of Purpose“	„თანაბარი პირობების დამკვიდრება იწყება ბავშვობიდან“	პროექტის მიზანია, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვების საზოგადოებაში ინტეგრაციის მიზნით მათი თანატოლებთან დაახლოება. ასევე, პროექტში მონაწილე ახალგაზრდებისთვის ჯანსაღი ცნობიერების ჩამოყალიბება და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თანატოლებთან მიმართებაში არსებული სტერეოტიპის დაძლევა.	12 380 ლარი

14	ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს საპატრიარქოსთან არსებული მოძრაობა „დავითიანნი“	„სასწავლო ცენტრი ყოფილი მსჯავრდებულებისთვის“	პროექტის მიზანია საპატიმროდან ახლად გათავისუფლებული ადამიანების თვითრეალიზაციასა და საზოგადოებაში რეინტეგრაციის ხელშეწყობა. პროექტის ფარგლებში პრობაციის სააგენტოს დახმარებით შედგა ყოფილი მსავრდებულების სია (40 ყოფილი პატიმარი), დაკომპლექტდა ოთხი ათ კაციანი ჯგუფი, 2 ჯგუფმა შეისწავლა ხეზე კვეთა, ხოლო მეორე ორმა ჯგუფმა მინანქარზე მუშაობა. სასწავლო ცენტრი აღიჭურვა ყველა საჭირო ინვენტარით და კვირაში 3-ჯერ უტარდებოდათ სწავლება.	19945 ლარი
სულ				257029.7

2013 წლის მეორე საგრანტო				
N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ა.(ა).ი.პ. - „საერთო სამოქალაქო მოძრაობა მრავალეროვანი საქართველოს ახალგაზრდული კავშირი“	„ეთნიკურ უმცირესობებს მიკუთვნებულ ახალგაზრდებს შორის პატრიოტული სულისკვეთების ამაღლება და განმტკიცება“	პროექტის მიზანია საქართველოში უმცირესობებს მიკუთვნებულ წევვამდელთა და საშუალო სკოლის უფროს კლასელთა პატრიოტული სულისკვეთების ამაღლებისა და განმტკიცების ხელშეწყობა, ისევე როგორც ქართულ არმიაში მსახურობისადმი მათი ინტერესის გაჩენისა და ამაღლების ხელშეწყობა.	22010-00 ლარი
2	ა.(ა).ი.პ - „ახალგაზრდა მისიმიელთა ლეგიონი“	„ბეჩოს კულტურისა და ხელოვნების საინფორმაციო ცენტრი“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა ბეჩოს თემის მოსახლეობის მოსახლეობის ფართო ფენების ინფორმირებულობისა და განათლების დონის ასამაღლებლად ხელოვნებისა და კულტურის	10131 ლარი და 55 თეთრი

			დარგში სტრუქტურული გარემოს შექმნა.	
3	ა.(ა).ი.პ. - „კოჯრის ახალგაზრდული ასოციაცია“	„თანადგომა“	პროექტი ითვალისწინებდა კოჯრის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე თავშესაფარში მცხოვრები 25 ბავშვის ფსიქოლოგიური და ფიზიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას, მათი ყოველდღიური ცხოვრების გახალისებას და საზოგადოებასთან ინტეგრაციის ხელშეწყობას.	12 470-00
4	ა.(ა).ი.პ. - „საბავშვო ლიტერატურის განვითარების ფონდი“	„ვებ გვერდი აუტიზმით დაავადებული ბავშვებისა და მათი მშობლებისათვის“	პროექტის ფარგლებში ლოგოპედებთან და ფსიქოლოგებთან კონსულტაციების საფუძველზე შეიქმნა აუტიზმით დაავადებული ბავშვებისა და მშობლებისთვის ვებ-გვერდი, სადაც განთავსდა შემდეგი ინფორმაცია:1) აუდიო-გაკვეთილები ბგერებისა და სიტყვების შესასწავლად; 2) აუდიო-გაკვეთილები მარტივი კონსტრუქციის წინადადებებითა და ტექსტებით. 3) ადაპტირებული მხატვრული ნაწარმოებები აუტიზმით დაავადებული ბავშვების განვითარების დონის მიხედვით; 4) განმავითარებელი კომპიუტერული (Flash) თამაშები ქართულ ენაზე, რაც ხელს უწყობს ბავშვების კოგნიტურ და საერთო განვითარებას. 5) განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვების მშობლებს მიეწოდათ მათთვის სასიცოცხლოდ საჭირო ინფორმაცია.	6830-00 ლარი
5	ა.(ა).ი.პ. - „ხვამლის ამქარი“	„ხვამლის მთის შესწავლა და	პროექტის მიზანს წარმოადგენდა ხვამლის ისტორიულ-არქეოლოგიური კვლევა:	26994-00 ლარი

		საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის პოპულარიზაცია“	უძველესი საკულტო ნაგებობების შესწავლა და ტოპოგეგმა, “მეფეთა საგანძურის“ ქვაბების სისტემური შესწავლის დაწყება, აგრეთვე ხვამლის მთის გარშემო არსებული კულტურული მემკვიდრეობის ძეგლების ფიქსაცია. ახალგაზრდობის ჩართვა საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის, კერძოდ კი ხვამლის მთის არქეოლოგიური ძეგლების კვლევასა და მის პოპულარიზაციაში. კულტურული და ეკოტურიზმის პოპულარიზაცია და ახალგაზრდებისათვის ბუნებაში ქცევის წესების გაცნობა.	
6	ა.(ა).ი.პ. - „ხელოვანებისა და კურატორების საზოგადოება“	„თანამედროვე არტისტების თვალთ დასახული 1990-იანი წლების საქართველო“	პროექტის მიზანი იყო 90-იანი წლების სოციალ-კულტურული გარემოსადმი კრიტიკული პოზიციის, ემოციების, შთბეჭდილებების დაფიქსირება და ამით საქართველოს უახლესი წარსულის გააზრება; არტისტების მიერ მრავალმხრივად, სხვადასხვა თანამედროვე მედიაში შესრულებული ნამუშევრების ერთ სივრცეში წარმოდგენა. პროექტის ერთ-ერთი მთავარი მიზანი არტისტული საზოგადოების ინიციატივის განხორციელებაა, რაც საკმაოდ იშვიათი მოვლენაა საქართველოში. გამოფენის მოწყობა და 90-იანი წლების შესახებ შეხედულებების და ამ თემაზე შესრულებული ნამუშევრების კონსოლიდაციის იდეა თავად არტისტებს ეკუთვნოდათ.	8649-00 ლარი
7	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული გაერთიანება აბაშისათვის“	„უკეთესი მომავალი“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი და იძულებით გადაადგილებული ახალგაზრდების პიროვნული და პროფესიული უნარების	11748-00 ლარი

			განვითარების ხელშეწყობა ტრენინგების გზით.	
8	ა.(ა).ი.პ. - „კავშირი ადამიანი კანონი თავისუფლება“	„ახალგაზრდული თვითმმართველობა“	პროექტის მიზანია ახალგაზრდებში სამოქალაქო დონის ამაღლება და აქტიურ მოქალაქედ ჩამოყალიბება, ახალგაზრდების დაინტერესება ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობით. ეთნიკური უმცირესობის წარმომადგენელი ახალგაზრდების მაქსიმალური ინტეგრაცია საზოგადოებაში.	13356 ლარი და 50 თეთრი
9	ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს ახალგაზრდა კონსტიტუციონალისტთა ასოციაცია“	„ახალგაზრდები კონსტიტუციური ცვლილებებისთვის“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა საქართველოს რეგიონებში მცხოვრები ახალგაზრდების ინტერესის გაღვივება კონსტიტუციური რეფორმის მიმართ და მათი ფართო ჩართულობის უზრუნველყოფა, აგრეთვე, გამოვლენილი ინიციატივების ადვოკატირება საკონსტიტუციო ცვლილებების პროცესში.	12036-00 ლარი
10	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული გაერთიანება - სესფ“	„მე ვზრუნავ მომავალზე“	პროექტი მიზნები: 1. საქართველოს სკოლების მოსწავლეთა სამოქალაქო აქტივობებში ჩართვა და მათი ინიციატივების ხელშეწყობა, როგორც რეგიონალური, ისე საერთაშორისო მაშტაბებით, ასევე სკოლის თვითმმართველობების ორგანიზაციული მართვის, ფინანსების მოძიებისა და უნარ-ჩვევების განვითარება; 2. საზოგადოებისთვის კანონის უზენაესობის პრინციპების ცნობიერების ამაღლება; 3. საქართველოს ეროვნულ-სახელმწიფოებრივი ფასეულობებისა და ძირითადი ღირებულებების შესახებ საზოგადოებისთვის ცოდნის გადაცემა და თითოეული მოქალაქის	11050-00 ლარი

			პიროვნული თვისებების განვითარება; 4.საქართველოში მცხოვრები ეთნიკურ უმცირესობებში და სოციალურ ქსელებში ქართული დამწერლობისა და ენის პოპულარიზაცია; 5.ვიდეო-პორტალის შექმნა ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარიზაციისთვის; 6.სარეკომენდაციო ვებ-გვერდის შექმნა.	
11	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ასოციაცია დრონი“	„ახალგაზრდები - ბარიერების გარეშე“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა თავისუფალი სივრცის შექმნა - მობილური ახალგაზრდული ცენტრი თბილისის ზღვის, ვაშლიჯვრის, შაუმიანისა და სკრის დასახლებებში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის, სადაც მოხდა მათი გადამზადება, სოციალური ინტეგრაცია და აქტიურ მოქალაქეებად ჩამოყალიბება არაფორმალური განათლების მეთოდების გამოყენებით. სხვადასხვა კულტურული წარმომავლობის ადამიანების გაცნობა და დაახლოვება,საკუთარი კულტურის შესწავლის ხელშეწყობა და ასევე, სხვა კულტურების აღმოჩენის ხელშეწყობა, განსხვავებებისა და მსგავებების დანახვა.	18013 ლარი და 54 თეთრი
12	ა.(ა).ი.პ. - „მრავალარხიანი დიპლომატიის ინსტიტუტი-საქართველო“	„ახალგაზრდული ინიციატივა კონფლიქტების ანალიზისათვის“	პროექტი ითვალისწინებდა ახალგაზრდების ჩართვას მშვიდობის განმტკიცებისა და მხარდაჭერის საქმეში. პროექტისათვის შერჩეული მონაწილეები მრავალი მიმართულებით სხვადასხვა სამშვიდობო პროექტში ჩაერთვებიან, რამაც სათავე უნდა დაუდოს ერთგვარ ახალგაზრდულ მოძრაობას, ახალი სამშვიდობო ინიციატივების, მშვიდობისა და თანამშრომლობის გარემოს შექმნის ატმოსფეროს განვითარებას და ამ პროცესებში ახალგაზრდობის მაქსიმალური	18095-00 ლარი

			ჩართულობის უზრუნველყოფას, სამშვიდობო პროცესში ყველა შესაძლო არასამთავრობო მექანიზმის ამოქმედების გზით.	
13	ა.(ა).ი.პ. - „თიანეთის ახალგაზრდები“	„თიანეთის მომავალი“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა კომუნიკაციის საშუალებების ზრდა, მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ განხორციელებული პროექტების მოსახლეობამდე, ყველაზე უფრო შორეულ სოფლამდე მიტანა, ახალგაზრდა ადგილობრივი პოეტების, მწერლების მიერ შექმნილი ნაწარმოებების გაზეთში განთავსება მათი შემოქმედების უკეთ გასაცნობად.	18830-00 ლარი
14	ა.(ა).ი.პ. - „დუშეთის განვითარების ფონდი“	„მზის ამოსვლას შენთან ერთად შევხვდებით“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა გაეცნო მოსახლეობასა და დამსვენებელისათვის ბაზალეთის ტბის ეკოლოგიური მდგომარეობა და მოსალოდნელი საფრთხეები. გაეცნობიერებინა საკუთარი მოქალაქეობრივი ვალდებულებები გარესამყაროს მიმართ და შეძლებისდაგვარად შეეცვალა ადამიანების დამოკიდებულება ბუნებისადმი, რადგანაც მხოლოდ ადამიანებისა და ბუნების ურთიერთდამოკიდებულების ახალი ტიპის ფორმირებითაა შესაძლებელი ეკოლოგიური კრიზისის დაძლევა.	10407 ლარი და 50 თეთრი
15	ა.(ა).ი.პ.- „კავშირი 21-ე საუკუნე“	„ახალგაზრდები ტოლერანტული გარემოს განმტკიცებისათვის საქართველოში“	პროექტი ითვალისწინებდა სხვადასხვა რელიგიური, ეთნიკური აღმსარებლობის მქონე ადამიანების დაახლოებას და მათ შორის კომუნიკაციის მაღალი ხარისხის დამკვიდრებას. მათი ცნობიერების დონის, რელიგიის თავისუფლების და აქტიური მოქალაქეობის შემეცნების ზრდისათვის	13346-00 ლარი

			ტრენინგების ჩატარებას.	
16	ა.(ა).ი.პ. - „ასოციაცია დიქე“	„გამრჯე ხელები“		14565-00 ლარი
17	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული კავშირი თაბონი“	„კალიგრაფიის სოციალური სახელოსნო“	პროექტის ფარგლებში მოხდა ქართული ხელით წერის კულტურის - ქართული კალიგრაფიის, როგორც ხელოვნების დარგის აღორძინების ხელშეწყობა, კალიგრაფიისა და სამფეროვანი ქართული ანბანის პოპულარიზაცია და კალიგრაფიის სოციალური სახელოსნოს შექმნა, სადაც ახალგაზრდა კალიგრაფებმა დაინტერესებულ საზოგადოებას ლამაზად წერა შეასწავლეს, ხოლო ტურისტებისა და სხვა პირებისთვის ხელნაკეთი სუვენირებს შექმნეს - უნიკალური ქართული კალიგრაფიის გამოყენებით.	12065-00 ლარი
18	ა.(ა).ი.პ. - „საქართველოს უსინათლო ქალთა და ბავშვთა ასოციაცია“	„გონების თვალი“	პროექტი ითვალისწინებდა უსინათლო და სუსტადმხედველი ახალგაზრდობისათვის ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ისინი თავს იგრძნობენ დამოუკიდებელ ადამიანებად, აიმაღლებენ სულიერ და ინტელექტურ დონეს, გახდებიან სამოქალაქო საზოგადოების ღირსეული წევრები და ამით სამაგალითონი და იმედის მიმცემნი იქნებიან იმ უსინათლოებისა და სუსტადმხედველთათვის, ვინც სამომავლოდ შეიძლება მსგავსი პრობლემის წინაშე აღმოჩნდეს.	19571-00 ლარი
19	ა.(ა).ი.პ. - „სტეფანწმიდა“	„ყაზბეგის რაიონში სოფ.სიონში არსებული კულტურულ-ახალგაზრდული	პროექტი მიზნად ისახავდა ყაზბეგის რაიონის სოფელ სიონში კულტურის სახლის რეაბილიტაციას და მასში რეგულარულად სხვადასხვა აქტივობების ჩატარებას, რაც დადებით ზეგავლენას მოახდენდა იქ	18800-00 ლარი

		სახლის რეაბილიტაცია“	მცხოვრები ახალგაზრდების აქტიურობასა და პროგრესზე.	
20	ა.(ა).ი.პ. - „რაიდმედი“	„უსინათლო და მცირემხედველი ახალგაზრდა პირების პროფესიული აქტივირება და საზოგადოებაში ინტეგრირება“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა უსინათლო და მცირემხედველი ახალგაზრდა პირებისთვის სასწავლო ტრენინგების, კერძოდ მასაჟის კურსების ჩატარება, რათა შშმ პირები დაუფლებოდნენ მოთხოვნად პროფესიას, რაც მისცემდათ მათ დასაქმების შესაძლებლობას, რითიც გაუმჯობესდებოდა მათი სოციალური მდგომარეობა და მოხდებოდა საზოგადოებაში ინტეგრირება.	24371 ლარი და 30 თეთრი
21	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული სივრცე“	„კომპასი, სახელმძღვანელო ადამიანის უფლებების სფეროში ახალგაზრდების მონაწილეობით“	პროექტი მიზნად ისახავდა ახალგაზრდების მონაწილეობით სახელმძღვანელოს შექმნას, რომელიც ადამიანის უფლებების შესახებ ზოგად წარმოადგენას მიცემდა საზოგადოებას. პროექტში მონაწილეთა სრული შემადგენლობა იყვნენ ახალგაზრდები, რომელთა მონაწილეობით განხორციელდა პროექტი.	19444-00 ლარი
	სულ			322783.4

2013 წლის მესამე საგრანტო				
N	ორგანიზაციის სახელწოდება	პროექტის სახელწოდება	მიზანი	თანხა
1	ა.(ა).ი.პ. - „კარალეთის თემის ახალგაზრდული ორგანიზაცია“	„ჩვენი ქვეყანა ჩვენი პასუხისმგებლობა“	პროექტის მიზანი იყო ახალგაზრდული ცენტრის სალექციო დარბაზის აღჭურვა, საჭირო ინვენტარით, ასევე, ტრენინგებით და ინტერნეტიდან ამოღებული მასალების	3085-00 ლარი

			<p>გაცნობით,ახალგაზრდების ინფორმირება გარემოს დაცვის, ეკოლოგიის და ეკოტურიზმის საკითხებზე; დასუფთავების აქციების ჩატარება კარალეთის თემში,ადამიანის მიერ გარემოსადმი ზიანის შესაზღვდავად; საქართველოს მრავალფეროვანი ეკოსისტემის გაცნობის მიზნით, ექსკურსიების მოწყობა;სპორტული ღონისძიებების მოწყობა; ეკოლოგიური უნარ-ჩვევების ამაღლება; პროექტის მიზანს ასევე წარმოადგენდა ახალგაზრდების მოტივირება როგორც ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისთვის, ასევე საზოგადოებრივ ცხოვრებაში აქტიური მონაწილეობისათვის.</p>	
2	ა.(ა).ი.პ. - „სათემო განვითარების ცენტრი აისი“	„ნაბიჯები უკეთესი მომავლისათვის“	<p>პროექტი მიზანად ისახავდა სოფლის მოსახლეობის ცნობიერების ამაღლებით, მათში დასაქმებისათვის საჭირო უნარების განვითარებას.</p>	4280-00 ლარი
3	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდა ადვოკატები“	„ადგილობრივი ლიდერები“	<p>პროექტი განხორციელდა მცხეთის მუნიციპალიტეტში და მოიცავდა შემდეგ მიზნებს:</p> <p>ა) დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების სამოქალაქო პასუხისმგებლობის გაზრდა საზოგადოების/სახელმწიფოს წინაშე</p> <p>ბ) დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების კომპეტენტურობისა და მოტივაციის ხელშეწყობა და წახალისება</p> <p>გ) დამამთავრებელი კლასის მოსწავლეების შესაძლებლობების დადგენა და ლიდერის უნარ-ჩვევების მხარდაჭერა</p> <p>დ) დამამთავრებელი კლასის მოსწავლეებისთვის კონკურენტულ გარემოში დამკვიდრებისა და თანაცხოვრების მნიშვნელობის წარმოჩენას</p>	3885-00 ლარი

4	<p>ა.(ა).ი.პ. - „შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ქალთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვთა დედათა ასოციაცია „დეა“</p>	<p>„ახალგაზრდობა გარემოს დაცვისთვის“</p>	<p>პროექტის მიზანს წარმოადგენდა ზუგდიდის მუნიციპალიტეტში მცხოვრები ახალგაზრდების ეკოლოგიური ცოდნისა და გარემოს დაცვის პრაქტიკული უნარების შექმნა-განვითარების ხელშეწყობა. ამ ამოცანის ფარგლებში ჩატარებული საინფორმაციო კამპანიის, გზით მოსახლეობის, განსაკუთრებით, ახალგაზრდების მიერ ეკოლოგიური პრობლემების გაცნობიერებასა და ეკოლოგიური ეთიკის გათავისებას, გარემოს მდგომარეობისათვის პასუხისმგებლობის განვითარებას შეეწყო ხელი.</p>	<p>4450-00 ლარი</p>
5	<p>ა.(ა).ი.პ. - „ხელოვნების ცენტრი“</p>	<p>„არაჩვეულებრივი დღე“</p>	<p>პროექტი მიზნად ისახავდა, ხონის „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნულ ცენტრთან“ და მის პაციენტებთან მჭიდრო თანამშრომლობით, შემოქმედებითი სადამოს ჩატარებას, რომელიც ლ. მესხშვილის სახელობის დრამატულ თეატრში ჩატარდა. ერთ „არაჩვეულებრივ დღეს“ გამოეფინა „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ პაციენტთა და იმერეთის ახალგაზრდა შემოქმედთა ნახატები, ილუსტრაციები, სკულპტურები. მცირე სცენაზე კი ახალგაზრდა მსახიობები წაიკითხეს „ფსიქიკური ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის“ პაციენტთა პოეტური და პროზაული ნაწარმოებები, ასევე ადგილობრივ შემოქმედთა ლიტერატურულ ნიმუშები.</p>	<p>4750-00 ლარი</p>

6	ა.(ა).ი.პ. - „რეგიონული განვითარების ახალგაზრდული ასოციაცია“	„თვითმმართველობა თვითმმართველობისთვის“	პროექტი ითვალისწინებდა საჩხერის 3 სკოლის თვითმმართველობის წარმომადგენლებთან შეხვედრას და პროექტის გაცნობას. ამავე შეხვედრაზე თვითმმართველობაში არსებული პრობლემების იდენტიფიცირება და არსებული წარმატებების გაცნობა მოხდა.	1229 ლარი და 35 თეთრი
7	ა.(ა).ი.პ. - „გზა მშვიდობისკენ“	„ველოსპორტი“	პროექტი ითვალისწინებდა კონფლიქტური ზონის მიმდებარე გორის მუნიციპალიტეტის სოფლებში: ზემო ნიქოზში, ქვემო ნიქოზში, ზემო ხვითში მცხოვრებ მოსწავლე-ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრების ხელშეწყობას. პროექტის მიზანი ასევე გახლდათ კონფლიქტურ ზონაში მცხოვრები ახალგაზრდობის წარმოჩენა და თვითმყოფადობის განვითარება მათი გარემოსდაცვით ღონისძიებებში და აქციებში მონაწილეობით, ახალგაზრდობის მიერ სოფლის მიტოვების - მიგრაციის პროცესის შეფერხება თავისუფალი დროის მიზანმიმართული გამოყენებით - წვრთნა, გარემოსდაცვითი, შემეცნებითი და სპორტული ღონისძიებების ორგანიზება, მათში მონაწილეობა.	7500-00 ლარი
8	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდა რეფორმატორები სოფლის განვითარებისთვის“	„ასურეთის ახალგაზრდობის სოციალური და“	პროექტის მიზანი იყო ხელი შეეწყოს თეთრიწყაროს რაიონის სოფელ ასურეთში ახალგაზრდების დასაქმებასა და მათი თავისუფალი დროის ეფექტურად	7450-00 ლარი

		ეკონომიკური რეაბილიტაციის სამოქალაქო საწარმო“	გამოყენებისათვის ადგილობრივ დონეზე ეთნოტურიზმის განვითარებისა და ხელშეწყობის პროცესში მათი ფართო ჩართულობის ფონზე. პროექტში მონაწილეობა მიიღეს ახალგაზრდებმა და მათი უშუალო მონაწილეობით განხორციელდა თითოეული ის აქტივობა, რომელიც დაგეგმილი იყო ორგანიზაციის მიერ.	
9	ა.(ა).ი.პ. - „სიახლის მაძიებლები“	„ქართული ყოფის სურათები“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა სენაკის მოსწავლე ახალგაზრდობის შეკრება და მათთვის სხვადასხვა ხელობის სწავლება. პროექტის ფარგლებში ასევე ჩატარდა გამოფენა სადაც წარმოდგენილი იყო მოსწავლეების მიერ შექმნილი ნამუშევრები.	3778-00 ლარი
10	ა.(ა).ი.პ. - „არაგველები“	„დ.ფასანაურში არაგვის სანაპიროზე სპორტული,რეკრეაციული ზონის მოწყობა“	პროექტის ფარგლებში ჩატარდა სხვადასახვა სამუშაოები არაგვის სანაპიროზე. მოპირკეთებულ იქნა რამდენიმე კვადრატული მეტრის ფართობი სადაც გაშენებული იქნა სპორტული მოედანი და ასევე შეძენილ იქნა სანაგვე ურნები. იქვე სანაპიროზე გაკეთდა ფრენბურთის მოედანი სადაც ახალგაზრდებს საშუალება აქვთ თავისუფალ დროს სპორტული აქტივობებით დაკავდნენ.	4441 ლარი და 20 თეთრი
11	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ჩართულობის ცენტრი“	„ინტელექტ-მარათონი“	პროექტი ითვალისწინებდა ქვეყნის, კერძოდ, ქუთაისის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში იმ ღონისძიებების დანერგვას, რომლებიც ხელს შეუწყობდა სტუდენტების მეტ დაინტერესებას ზოგადი განათლების	3284-00 ლარი

			<p>მიღების კუთხით. თამაშებში მონაწილე პირებმა განახორციელეს მიღებული ცოდნის პრაქტიკულ რეალიზაცია მათთვის საინტერესო გარემოში, გაუჩნდათ მოტივაცია მიიღონ უფრო მეტი განათლება და მომზადებულნი შეხვდნენ მორიგ მსგავსი სახის ტურნირებს. ერთი მხრივ, სტუდენტებმა თამაშებზე დასმული კითხვებისა და მათი პასუხების გაცნობის შემდეგ მიიღეს მათთვის საინტერესო ცოდნა და, მეორე მხრივ, გაუჩნდათ მოტივაცია თავად მიიღონ აღნიშნული განათლება შემდგომი ტურნირის ჩატარებამდე.</p>	
12	<p>ა.(ა).ი.პ. - „ზესტაფონის განვითარებისა და აღორძინების ფონდი“</p>	<p>„ჯანსაღი ცხოვრების წესი“</p>	<p>პროექტი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“ გულისხმობდა მოზარდებში სპორტული ცხოვრების გააქტიურებას, ხელშეწყობას და წახალისებას. აღნიშნული პროექტის ფარგლებში მოხდა ფეხბურთის ტურნირის ორგანიზება, რომელსაც წინ წარუძღვა ტრენინგები რომლის მეშვეობითაც მოზარდებს გაეცნოთ ჯანსაღი ცხოვრების წესი. ფიზიკური კულტურის განვითარების ხელშეწყობის თეორიული და პრაქტიკული ცოდნის მიღებით მოზარდებში დაინერგა ჯანსაღი ცხოვრების წესი რაც მეტად მნიშვნელოვანია ჩვენი ქვეყნის მძიმე სოცალურ ეკონომიკურ მდგომარეობით გამოწვეული მოზარდებში სხვადასხვა ჯანმრთელობის პრობლემების დასაძლევად.</p>	<p>3330-00 ლარი</p>

13	ა.(ა).ი.პ. - „ამაღლების ახალგაზრდობის ცენტრი“	„სკვერი ამაღლება“	პროექტი „სკვერი ამაღლების“ მიზანი გახლდათ სოფლის მოსახლეობისთვის სუფთა, ჯანსაღი და უსაფრთხო გარემოს შექმნა, რისი მიღწევაც შესაძლებელი გახდა სხვადასხვა ნარგავების გაშენებით და სკვერის კეთილ მოწყობით, რომელმაც სოფლის მოსახლეობას, ბავშვებს, მოზარდებს მისცა საშუალება, თავისუფალ დროს დაისვენონ სასიამოვნო გარემოში.	4130-00 ლარი
14	ა.(ა).ი.პ. - „შდავლერ“	„კალიგრაფიული სტუდია ჭუბერში“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა ჭუბერის საჯარო სკოლის ენთუზიაზმზე დამყარებული კალიგრაფიული სტუდიის შექმნა, რომელიც ადრეც არსებობდა, მაგრამ არ გააჩნდა საჭირო სივრცე, მატერიალურ ტექნიკური ბაზა და სახსრები. პროექტის განხორციელებით, ერთი მხრივ, ხელი შეეწყო სახელოვნებო დარგების განვითარებით სახელგანთქმულ კუთხეს საქართველოში - სვანეთის რეგიონში ნიჭიერი ახალგაზრდების წარმოჩენას, მეორე მხრივ კი ქართული კალიგრაფიის ხელოვნების განვითარებაში კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადაიდგა.	4755-00 ლარი
15	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდები უკეთესი მომავლისათვის“	„დანაგვიანება სირცხვილია“	პროექტის ერთ-ერთი მთავარი ამოცანა იყო სანაპირო ზოლის დასუფთავება და პრობლემის პრევენციისათვის ბრძოლა. პროექტის ფარგლებში ახალგაზრდების ფართო ჯგუფმა დაასუფთავეს სანაპიროს მიმდებარე ტერიტორია და ამასთანავე	3930-00 ლარი

			ჩაატარეს ერთგვარი პიარ აქცია დანაგვიანების წინააღმდეგ.	
16	ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ხედვა კავკასია“	„ბოლნისის ახალგაზრდული ლიტერატურული კლუბი“	ბოლნისის ლიტერატურული კლუბი მიზნად ისახავდა ბოლნისში მცხოვრები ახალგაზრდებისთვის საინტერესო ქართული და უცხოური ლიტერატურის შექმნას, რომელიც ბიბლიოთეკებს არ გაანდათ და ამ წიგნებზე კლუბში გაერთიანებულ ახალგაზრდებთან ერთად ლიტერატურული განხილვების მოწყობას. ასევე, პროექტის მიზანი იყო პოპულარიზაცია გაეწია თანამედროვე ქართული და უცხოური ლიტერატურისათვის.	3687 ლარი და 50 თეთრი
17	ა.(ა).ი.პ.- „სვანეთის ახალგაზრდული ცენტრი“	„ჩემი ინიციატივა - მე აქტიური მოქალაქე“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა მესტიის მუნიციპალიტეტის სოფელ უშგულგუმში მცხოვრები ახალგაზრდების ჩართულობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში და მათი გააქტიურება და ჩამოყალიბება „აქტიურ მოქალაქეებად“. პროექტის ფარგლებში სკოლის მოსწავლეთათვის გამოცხადდა ესეების კონკურსი, მოხდა გამარჯვებულთა გამოვლენა და ამასთანავე ჩატარდა სასკოლო კონფერენცია, რომელში რაიონში მცხოვრებმა ახალგაზრდებმა მიიღეს მონაწილეობა.	4654 ლარი და 50 თეთრი
18	ა.(ა).ი.პ.- „ფოთის ახალგაზრდული საბჭო“	„ახალგაზრდული კონფერენცია“	პროექტი ითვალისწინებდა ჯანსაღი გარემოს შექმნას, საიდანაც თითოეული მონაწილე, 18-25 წლის ახალგაზრდა, პროექტის დასრულების შემდეგ, გავიდოდა უფრო განათლებული, უფრო მაღალი პოლიტიკური კულტურის მქონე,	2640-00 ლარი

			ქალაქის და საზოგადოების მიმართ საკუთარი მოვალეობის და პასუხისმგებლობის მცოდნე, უფრო მოტივირებული და უფრო მიზანდასახული, რათა აქტიურად ჩაერთოს პოლიტიკის სხვადასხვა სფეროში, განსაკუთრებით საჯარო პოლიტიკაში, რაც ადგილობრივი თვითმმართველობის განვითარების საფუძველია.	
19	ა.(ა).ი.პ. - „ასოციაცია ბავშვი და უფლება“	„თქვენ ჩვენი ცხოვრების ნაწილი ხართ“	პროექტის მიზანია განახორციელოს სპეციალური საჭიროების სტატუსის მქონე ბავშვების ინტეგრაცია, თვითრეალიზაციისა და დამოუკიდებლობის დონის ამაღლება, თანამედროვე, მოთხოვნადი პროექტის/ხელსაქმის შესწავლის გზით.	2213 ლარი და 50 თეთრი
20	ა.(ა).ი.პ. - „შორეთელები“	„აღმოაჩინე შენში ტალანტი და გაახალისე ცხოვრება“	პროექტის მიზანს წარმოადგენდა ასპინძის მუნიციპალიტეტში არსებულ მაღალმთიან სოფელებში მცხოვრები ბავშვებისა და ახალგაზრდებისათვის კულტურულ ღონისძიებების მოწყობას, ახალგაზრდა შემოქმედთა გამოვლენას, მხარდაჭერასა და წახალისებას.	2409 ლარი და 15 თეთრი
21	ა.(ა).ი.პ. - „ახალი ინიციატივა“	„მოსწავლეთა თვითმმართველობების საქმიანობის გაძლიერება კერძო სკოლების ეფექტური მმართველობისთვის“	პროექტი მიზნად ისახავდა ქობულეთის მუნიციპალიტეტის ხუთ კერძო სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის საქმიანობის შეფასებას და მოსწავლეთა თვითმმართველობის განხორციელების შემაფერხებელი მიზეზების იდენტიფიცირებასა და აღმოფხვრას. ასევე, მოსწავლეთა დაინტერესება სასკოლო თვითმმართველობების	4025-00 ლარი

			სტრუქტურული და ინსტიტუციური როლის გაზრდისთვის და მათთვის არჩევით ორგანოში მოხვედრის მნიშვნელობის სათანადოდ წარმოჩენა, სკოლის მართვის სტრუქტურული ორგანოების ურთიერთქმედების მნიშვნელობის გაცნობიერება მოსწავლეთა თვითმმართველობის უფლებამოსილების განხორციელების პროცესში.	
22	ა.(ა).ი.პ. - ა.(ა).ი.პ - „ლაგოდეხის ახალგაზრდული ინიციატივა“	„ლაგოდეხის ახალგაზრდა მოაზროვნეები“	პროექტის მიზანი იყო ინტელექტუალური თამაშების პოპულარიზაცია ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში, საუკეთესო მოაზროვნე ახალგაზრდობის გამოვლენა და მათი ჩართულობა საზოგადოებრივ საქმიანობაში.	4497-00 ლარი
23	ა.(ა).ი.პ. - „ბედნიერი თაობა“	„უფროსი მეგობარი“	პროექტი მიზანს წარმოადგენდა ბავშვებისა და მოზარდების თავისუფალი დროის დაგეგმვა და სტუდენტებისათვის დროებითი სამუშაოს შექმნის ინიციატივა, ასევე, ახალგაზრდებში ჯანმრთელი ცხოვრების პოპულარიზაცია და ამ მხრივ გარკვეული აქტივობების ინიცირება.	3928 ლარი და 50 თეთრი
24	ა.(ა).ი.პ. - „სამოქალაქო განათლებისა და უფლებების ცენტრი“	„ახალგაზრდული ცენტრი- მომავალი თაობის დასაქმებისა და თვითრეალიზების შანსი“	მოცემული პროექტის მიზანი გახლდათ ორპირის და მეზობელ თემებში მცხოვრები (ცუცხვათი, კურსები, ხრესილი, ჯვარისა, გურნა, სოჩხეთი) ახალგაზრდების გააქტიურება, არაფორმალური განათლების გზით ახალი უნარ-ჩვევების შეძენა, შრომით ბაზარზე მათი კონკურენტუნარიანობის გაზრდა,	2760-00 ლარი

			<p>ახალგაზრდებში სამოქალაქო თვითშეგნების ამაღლება და მათი ჩართვა სათემო პრობლემების იდენტიფიცირებასა და ადვოკატირებაში; პროექტის ფარგლებში სოფელ ორპირში დაარსდა ახალგაზრდული ცენტრი, სადაც ახალგაზრდებს ჩაუტარდათ ტრენინგები და სადაც სხვადასხვა სახის აქტივობების დაგეგმვა მოხდა მომავლისათვის.</p>	
25	<p>ა.(ა).ი.პ. - „ახალგაზრდული ორგანიზაცია პირველები“</p>	<p>„აჭარის მაღალმთიანეთში ტურისტული კერების შესახებ ინფორმირებულობის ამაღლებისა და გარემოს დაცვის ხელშეწყობა“</p>	<p>პროექტის მიზანს წარმოადგენდა ადგილობრივი მოსახლეობის, განსაკუთრებით ახალგაზრდების და ტურისტების ცოდნის დონის ამაღლება ტურისტული ობიექტებისა და ტურიზმის დროს გარემოზე შესაძლო უარყოფითი ზემოქმედების შესახებ, ამავდროულად პროექტის ფარგლებში მოხდა ახალგაზრდების მაქსიმალური ინფორმირება და საინფორმაციო კამპანიის ჩატარება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.</p>	<p>4362 ლარი და 50 თეთრი</p>

